განმარტებითი ბარათი

კანონის პროექტზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი :

საზოგადოებისათვის უვნებელი ქმედება - ადამიანის მიერ ნარკოტიკული საშუალებების გასაღების მიზნის გარეშე, მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენა ან შენახვა ანდა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

ნარკოპოლიტის ლიბერალიზაცია და შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის შექმნა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის გარეშე მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენა ან შენახვა ანდა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისთვის გაუქმდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

გაუქმდება მოქალაქეების იძულებითი ნარკოტესტირების საფუძველი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

კანონპროექტი არ იწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

ასეთი არ არსებობს

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ბიუჯეტს დააკლდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო დაკისრებული ჯარიმებისგან მიღებული შემოსავალი, სამაგიეროდ დაიზოგება რეპრესიული ნარკოპოლიტიკის საწარმოებლად საჭირო მნიშვნელოვნად მეტი საბიუჯეტო სახსრები.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი გამოიწვევს საბიუჯეტო ხარჯვის, კერძოდ იძულებითი ნარკოტესტირების ჩატარებისთვის გამოყოფილი სახსრების (17 მლნ ლარი) მნიშვნელოვან შემცირებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტი არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

პირებს, რომლებსაც დღევანდელი მდგომარეობით ეკისრებათ ჯარიმები/ფინანსური სანქციები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 45-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის კანონპროექტის მიღების შემდგომ გათავისუფლდებიან შესაბამისი ფინანსური სანქციებისგან.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

კანონპროექტით ხდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული გარკვეული ქმედებებისათვის პირების ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, შესაბამისად უქმდება ამ ქმედებისათვის ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი შეესაბამება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი ასეთები არ არსებობენ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ ასეთები არ არსებობენ.

ე) კანონპროექტის ავტორი:

ნებისმიერი ხელისმომწერი დეპუტატი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

ნებისმიერი ხელისმომწერი დეპუტატი